<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი
„ოლიგარქიული მმართველობის წინააღმდეგ"

მუხლი1. კანონის მიზანი

1. ოლიგარქიული მმართველობა წარმოადგენს სახელმწიფოს დემოკრატიული მმართველობის საფუძვლების, ქვეყნის ეროვნულ უსაფრთოებისა და საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ხელისუფლების დანაწილებისა და დაბალანსების პრინციპების და ევრო-ატლანტიკურ ღირებულებების რეალიზაციის მთავარ საფრთხეს; ხელყოფს მოქალაქეთა თავისუფალ, სამართლიან და თანასწორ პოლიტიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

2. სახელმწიფოში საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში გადაჭარბებული, არაფორმალური ზეგავლენის მქონე პირის, ან პირთა ჯგუფის მიერ სახელმწიფოს მიტაცების, სახელმწიფო ძალაუფლების კონცენტრაციის თავიდან აცილების ანდა შეზღუდვის მიზნით, ეს კანონი ადგენს ოლიგარქის და ოლიგარქიული მმართველობის შეკავებისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს.

მუხლი 2. კანონის ამოცანა

ამ კანონის ამოცანა საქართველოს კონსტიუტუციის მე-3 და მე-4 მუხლების შესრულების და უზრუნველყოფისათვის საფრთხის შემცველი გარემოებებისა და პირებისათვის, შემაკავებელი და აღმკვეთი სამართლებრივი საფუძვლების შექმნა.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისთვის ამ მუხლში განსაზღვრულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დაკავშირებული პირი - პირი, რომელსაც ოლიგარქის, ან მისი ოჯახის წევრის, ნათესავის სამეწარმეო და არასამეწარმეო საზოგადოებაში პირდაპირ ან არაპირდაპირ წილი (ხმის უფლება) აქვს; აგრეთვე ნებისმიერი პირი, რომელიც დაკავშირებულია ოლიგარქთან კომერციული, პოლიტიკური, სამსახურებრივი თუ სხვა საქმიანი ინტერესით.

ბ) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება - მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე პირის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, ანუ ისეთი მდგომარეობა, როცა პირს არ ჰყავს კონკურენტები, დაცულია მნიშვნელოვანი კონკურენციისაგან ან მისი კონკურენტული პოზიცია საშუალებას აძლევს მას, ცალმხრივად არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე ანდა შეზღუდოს კონკურენცია;

გ) სახელმწიფოს მიტაცება - პირადი უპირატესობებისათვის, ეკონომიკური, პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის, სისტემური პოლიტიკური კორუფციის სახეობა, სადაც პირადი (კერძო) ინტერესები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ, სახელმწიფოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე.

დ) ბენეფიციარი მესაკუთრე - განიმარტება "ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

ე) ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტი - სუბიექტი, რომელიც ისეთ საქონელს აწარმოებს, რომელიც შეუძლებელია მოხმარებისას შეიცვალოს სხვა საქონლით, რის გამოც მოთხოვნილება ბუნებრივი მონოპოლიის პროდუქციაზე, სხვა სახის საქონელზე მოთხოვნილებასთან შედარებით, ნაკლებად არის დამოკიდებული ამ საქონლის ფასის ცვლილებაზე.

ვ) დომინანტური მდგომარეობა ბაზარზე - შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამასთანავე: არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია და არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ზ) მედია მომსახურების საშუალება - განიმარტება "მაუწყებლობის შესახებ კანონის" შესაბამისად.

თ) ოჯახის წევრი - განიმარტება "საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად;

ი) სახელმწიფო-პოლიტიკური, პოლიტიკური და სახელმწიფო თანამდებობის პირები - ამ კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტში მითითებული პირები.

კ) ნათესავი - იგულისხმება პირის ანდა მისი მეუღლის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, გერი, და და ძმა, მშობლის და შვილის გერები, აგრეთვე რელიგიური რიტუალებით დანათესავებული პირები.

მუხლი 4. ოლიგარქი

1. ოლიგარქი - პირი, რომელიც აკმაყოფილებს სულ მცირე სამ შემდეგ პირობას და ახორციელებს ზეგავლენას საჯარო უფლებამოსილების ორგანოებზე ან მათ თანამდებობის პირებზე:

ა) პირდაპირ ან ირიბად ახორციელებს პოლიტიკურ საქმიანობას;

ბ) მისი ოჯახის წევრები ან დაკავშირებული პირები, მის მფლობელობაში არსებულ იურიდიულ სუბიექტებში დასაქმებული პირები იკავებენ სახელმწიფო-პოლიტიკურ, პოლიტიკურ ანდა სახელმწიფო თანამდებობებს;

გ) პირდაპირ ან ირიბად (მათ შორის მისი გავლენის ქვეშ მყოფი ორგანიზაციის მეშვეობით) ახორციელებს მნიშვნელოვან ზეგავლენას მედია მომსახურების საშუალებებზე;

დ) წარმოადგენს საბოლოო ბენეფიციარ მესაკუთრეს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის, რომელიც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის არის ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტი ან უკავია დომინანტური (მონოპოლიური) მდგომარეობა ბაზარზე კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) პირის ანდა სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მფლობელი პირის დადასტურებული აქტივები აღემატება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 0,35%, ანდა მას, მისი ოჯახის წევრებს და დაკავშირებულ პირებს საკუთრებაში აქვთ საქართველოს მიწის რესურსის 7 % ზე მეტი.

ვ) სანქცირებულია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის და ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოს, ამ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ;

მუხლი 5. ოლიგარქიული მმართველობა

1. ოლიგარქიული მმართველობა წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის სისტემას, რომლისთვისაც დამახასიათებელია:

ა) ერთპარტიულობა; რაც გულისხმობს, იმ კონსტიტუციური უფლემაბამოსილებების განხორციელებას სხვა პარტიების მონაწილეობის გარეშე, რომლისთვისაც საჭიროა პარლამენტის კვალიფიციური უმრავლესობა;

ბ) სახელმწიფო-პოლიტიკური თუ სახელმწიფო თანამდებობებზე, რომელთა სამართლებრივი ბუნება სახელმწიფო ხელისუფლების შეკავების კონტროლისა და ბალანისის კონსტიტუციური პრინციპის უზრუნველყოფაა (ცენტრლური საარჩევნო კომისია, სახალხო დამცველი, მთავარი პროკურორი, გენერალური აუდიტორი, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, იუსტიციის საბჭო, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები), საკადრო გადაწყვეტილებები მიიღება ერთპარტიული უმრავლესობის მიერ, რომელიც გამორიცხავს ამ პროცესებზე სხვა სუბიექტების (საპარლამენტო ოპოზიცია, არასამთავრობო ორგანიზაციები) მხრიდან რეაგირების, მონაწილეობის, კონტროლისა და კანონის ფარგლებში ზემოქმედების შესაძლებლობებს;

გ) ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიმართულია:

გ.ა) სახელმწიფო ხელისუფლების მიტაცებისკენ;

გ.ბ) მმართველი ძალის მიერ, ხელისუფლების შენარჩუნების, გახანგრძლივების, პოლიტიკურ სისტემაში უპირატესი მდგომარეობის შენარჩუნებას ანდა შექმნას, კანონმდებლობის კერძო პოლიტიკური თუ სხვა ინტერესებისთვის მორგებას;

გ.გ) მმართველი ძალის სასარგებლოდ პირადი, ანდა დაკავშირებული პირებისთვის, სარგებლის და პრივილეგიების დაწესებას;

დ) სახელმწიფო-პოლიტიკური და სახელმწიფო თანამდებობის პირების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირთა მხრიდან ლოიალობა ოლიგარქისა და ოლიგარქიული მმართველობის მიმართ;

ე) საჯარო ფინანსების მიმართვა კერძო პირის ინტერესების სასარგებლოდ, რომელსაც აქვს პოლიტიკური გავლენა შესაბამის გადაწყვეტილების მიმღებ კოლეგიურ ორგანოზე ანდა თანამდებობის პირზე;

ვ) ოლიგარქიული მმართველობის სისტემისთვის მისაღები ადამიანების (ოჯახის წევრები, დაკავშირებული პირები, ოლიგარქის მფლობელობაში არსებული იურიდიულ პირებში დასაქმებული პირები) გამწესება სახელმწიფო პოლიტიკურ და სახელმწიფო თანამდებობებზე;

2. პოლიტიკური სუბიექტების მიერ ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, რომელიც კონსტიტუციით გათვალისწინებული თანამდებობის პირების დანიშვნას, გათავისუფლებას ეხება, ოპოზიციის მონაწილეობის გარეშე ჩაითვლება ოლიგარქიული მმართველობის ხელშემწყობ გადაწყვეტილებად და მიიჩნევა ანტიკონსტიტუციურად.

მუხლი 6. მმართველობის ანტიოლიგარქიული პრინციპები

1. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ პრინციპებთან შესაბამისობა.

2. სახელმწიფო მმართველობის ერთპარტიული სისტემის დაუშვებლობა მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტების) დონეზე;

3. საჯარო მმართველობის ნებისმიერ ორგანოზე, თანამდებობის პირზე კერძო/პირადი ინტერესების გატარების მიზნით ზეგავლენის დაუშვებლობა;

4. სახელმწიფო/ადმინისრტაციული რესურსების საჯარო ინტერესების საზიანოდ პირადი ინტერესებისთვის გამოყენების დაუშვებლობა.

5. ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი ორგანოების პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და ფისკალურ უფლებამოსილებებში ჩარევისა და შეზღუდვის დაუშვებლობა.

6. ოლიგარქთან დაკავშირებული ამ კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია არის საჯარო და საქვეყნოობის პრინციპის თანახმად, ყველას აქვს უფლება გაეცნოს მას.

მუხლი 7. პოლიტიკური საქმიანობა

პირი ახორციელებს პოლიტიკურ საქმიანობას თუ:

ა) არის "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის "თ' ც4და "ი" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თანამდებობის პირი; აგრეთვე: აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოს ის ხელმძღვანელი რომელიც არ შედის საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილეები, გენერალური პროკურორი, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილეები, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ან ვიცე-პრეზიდენტები, საქართველოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების წევრები, ან საქართველოს პრემიერ მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული ორგანოს ხელმძღვანელი, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე;

ბ) არის პოლიტიკური გაერთიანების დამფუძნებელი, ან/და იკავებს ხელმძღვანელ თანამდებობას;

გ) პირადად ან/და დაკავშირებული პირების მეშვეობით აფინანსებს პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობას;

დ) პირადად, ასევე, მასთან დაკავშირებული პირების მეშვეობით მონაწილეობს პოლიტიკური გაერთიანების ან ცალკეული სუბიექტის საარჩევნო კამპანიაში;

ე) გააჩნია სააჯაროდ გაცხადებული პოლიტიკური მიზანი,საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის ღებულობს მონაწილეობას საჯარო გამოსვლებში, მიმართვებში;

მუხლი 8. ეკონომიკური ზეგავლენა

1. პირი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზეგავლენის მქონეა:

ა) თუ გააჩნია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება,

ბ) სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მფლობელი პირის დადასტურებული აქტივები აღემატება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.35%-ს, ან/და

გ) მას, მისი ოჯახის წევრებსა და დაკავშირებულ პირებს საკუთრებაში აქვთ საქართველოს მიწის რესურსის 7 % -ზე მეტი.

მუხლი 9. ზეგავლენა საჯარო უფლებამოსილების ორგანოებზე ან მათ თანამდებობის პირებზე

1. დაუშვებელია ფარული ან ნებისმიერი სხვა ფორმით ზეგავლენის განხორციელება სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის, პოლიტიკური თანამდებობის პირის, სახელმწიფო თანამდებობის პირის მიმართ საკუთარი ან სხვა პირის სასარგებლოდ პოლიტიკური ან ეკომონიკური ინტერესის, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე უპირატესობის მიღების მიზნით.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ქმედება იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

მუხლი 10. მნიშვნელოვანი გავლენა მედია მომსახურების საშუალებებზე

1. ამ კანონის მე-4 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტის მიზნებისთვის პირი ახორციელებს მნიშვნელოვან ზეგავლენას მედია მომსახურების საშუალებებზე, თუ იგი:

ა) არის საქართველოს კანონებით „მაუწყებლობის შესახებ" და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" გათვალისწინებული ლიცენზიის მფლობელი პირის, ან ავტორიზებული პირის, აგრეთვე ბეჭდური მედია საშუალების, საინფორმაციო სააგენტოს ბენეფიციარი მესაკუთრე.

ბ) არის ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთან დაკავშირებული პირი.

მუხლი 11. ოლიგარქიული მმართველობის ხელშემწყობი კანონებისა და ნორმატიული აქტების გასაჩივრების წესი.

1. ნებისმიერი ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივროს ოლიგარქიული მმართველობის ხელშემწყობი კანონების და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის მე-3 და მე-4 მუხლებთან მიმართებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კონსტიტუციური სარჩელი განიხილება ,,საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 12. ოლიგარქად ცნობა

1. პირის ოლიგარქად ცნობის გადაწყვეტილებას იღებს საკონსტიტუციო სასამართლო პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის სარჩელის საფუძველზე.

2. პირის ოლიგარქად ცნოს გადაწყვეტილებას იღებს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი.

3. საკონსტიტუციო სასამართლო პირის ოლიგარქად ცნობის შესახებ კონსტიტუციურ ცარდგინებას იხილავს რიგგარეშედ.

4. საკონსტიტუციო სასამრთლოს მიერ ამ მუხლით დადგენილი საკონსტიტუციო სარჩელის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

მუხლი 13 . პირის ოლიგარქთან დაკავშირებულ პირად ცნობა

1. პირი ოლიგარქთან დაკავშირებულ პირად ითვლება თუ იგი:

ა) დაკავშირებულია ოლიგარქთან კომერციული, პოლიტიკური, სამსახურებრივი თუ სხვა საქმიანი ინტერესით;

ბ) თუ მას აქვს ოლიგარქის, მისი ოჯახის წევრის, ან ნათესავის მფლობელობაში არსებულ სამეწარმეო და არასამეწარმეო საზოგადოებაში პირდაპირ ან არაპირდაპირ წილი (ხმის უფლება);

2. საკონსტიტუციო სასამართლო პირის ოლიგარქად ცნობის განხილვის ეტაპზე ადგენს ასევე ოლიგარქთან დაკავშირებულ პირებს.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება ოლიგარქთან დაკავშირებული პირების მონაცემები.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში პირის ოლიგარქთან დაკავშირებული პირად მითითება, ამ კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრულ ოლიგარქთა და დაკავშირებულ პირთა რეესტრში შეყვანის საფუძველია.

მუხლი 14. ოლიგარქთა და დაკავშირებულ პირთა რეესტრი

1. პირის ოლიგარქად ცნობის შესახებ გადაწყვეტილება არის ამ პირის ოლიგარქთა რეესტრში (შემდგომ – რეესტრი) შეყვანის საფუძველი.

2. რეესტრის მეშვეობით ხორციელდება ოლიგარქებისა და მათთან დაკავშირებული პირების აღრიცხვა.

3. რეესტრის წარმოების მიზანია რეესტრში შეყვანილი პირების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

4. რეესტრთან დაკავშირებულ წესებს, მათ შორის, მისი შექმნისა და წარმოების წესებს ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.

5. რეესტრში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:

ა) პირის ოლიგარქად და ოლიგარქთან დაკავშირებულ პირად ცნობის შესახებ გადაწყვეტილება;

ბ) ოლიგარქად , დაკავშირებულ პირად ცნობილი პირის გვარი, სახელი ;

გ) პირის რეესტრიდან ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილება და იმ გარემოებათა დასაბუთება, რომელთა საფუძველზედაც ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული;

დ) იმ იურიდიულ პირთა ჩამონათვალი, სადაც ოლიგარქი საბოლოო ბენეფიციარია;

ე) იმ პოლიტიკურ გაერთიანებათა ჩამონათვალი, სადაც ოლიგარქი ახორციელებდა პოლიტიკურ საქმიანობას ამ კანონით განსაზღვრული მე-6 მუხლის შესაბამისად.

ვ) იმ საწარმოს, მედია საშუალების ან/და პოლიტიკური გაერთიანების ჩამონათვალი, რომლის მეშვეობითაც მიიჩნევა პირი ოლიგარქთან დაკავშირებულ პირად.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია რეესტრში შეტანილ უნდა იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 კალენდარული დღის ვადაში და ამავე ვადაში უნდა გაეგზავნოს იმ პირს, რომლის მიმართაც ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

მუხლი 15. ოლიგარქად და დაკავშირებულ პირად ცნობის სამართლებრივი შედეგები

1. პირის ოლიგარქად და ოლიგარქთან დაკავშირებულ პირად ცნობისა და შესაბამის რეესტრში შეყვანის შემდეგ, დაუშვებელია ოლიგარქის, მისი წარმომადგენლების, ოჯახის წევრების და დაკავშირებული პირების მიერ პოლიტიკური პარტიების დაფუძნება ან/და პოლიტიკურ საქმიანობაში პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობა.

2. პირის ოლიგარქად და ოლიგარქთან დაკავშირებულ პირად ცნობისა და შესაბამის რეესტრში შეყვანის შემდეგ, ოლიგარქს, მის წარმომადგენლებს, ოჯახის წევრებსა და დაკავშირებულ პირებს ეკრძალებათ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ტენდერებსა და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ობიექტების პრივატიზაციაში.

3. პირი, რომელიც ცნობილია ოლიგარქად ან ოლიგარქთან დაკავშირებულ პირად და ამავდროულად მასზე ვრცელდება საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“, ვალდებულია, რეესტრში შეყვანისთანავე „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

4. პირი, რომელიც ცნობილია ოლიგარქად ან ოლიგარქთან დაკავშირებულ პირად ვალდებულია გადაიხადოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საშემოსავლო და ქონების გადასახადები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიუხედავად ამ შემოსავლის მიღების წარმომავლობის და ტერიტორიისა.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირი, რომელიც აკმაყოფილებს ოლიგარქის, დაკაშირებული პირის კრიტერიუმებს, შესაბამისი სტატუსის დადგენიდან ვალდებულია გადადგეს თანამდებობიდან ან შეწყვიტოს შესაბამისი საქმიანობა.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირი ითვლება არაუფლებამოსილად და მის მიერ გამოცემულ ყველა სამართლებრივ აქტზე გავრცელდება საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ გათვალისწინებული მოთხოვნები.

მუხლი 16. კონტაქტების დეკლარაცია

1. ამ მუხლით განსაზღვრულ პირებს, თანამდებობაზე განმწესებამდე ანდა საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების დაწყებამდე აქვთ წინასწარი და უფლებამოსილების განხორციელების განმავლობაში შემდგომი დეკლარირების ვალდებულება ოლიგარქთა და დაკავშირებულ პირთა რეესტრში შეყვანილ პირებთან და მათ წარმომადგენლებთან შესაძლო კონტაქტის შესახებ.

2. რეესტრში შეყვანილ პირთან კონტაქტი გულისხმობს, ოლიგარქთან და მასთან დაკავშირებულ პირთან ნებისმიერი ოჯახური, ნათესაური, საქმიანი კავშირის შესახებ დეკლარირების ვალდებულებას. აგრეთვე, შეხვედრას, საუბარს კომუნიკაციის ყველა ფორმითა და საუბრის ნებისმიერი შინაარსით, გარდა ოფიციალურ ღონისძიებებისა და შეხვედრებისა, რომლებიც მიმდინარეობს საჯარო ფორმატში.

3. ამ მუხლის მიზნებისთვის შემდგომი დეკლარირების ვალდებულება გულისხმობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირების ვალდებულებას რეესტრში შეყვანილ პირთან, ან მის წარმომადგენელთან კონტაქტის შემთხვევაში, არაუგვიანეს მეორე დღისა შესაბამის ორგანოში წარადგინონ კონტაქტების დეკლარაცია.

4. წინასწარი დეკლარირების წარდგენის ვალდებულება აქვთ:

ა) საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლებს, საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს; საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, მის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს; საქართველოს პარლამენტის წევრს; საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს ვიცე პრემიერ-მინისტრებს; მინისტრებს, მათ პირველ მოადგილეებსა და მოადგილეებს; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროს, მის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს; საქართველოს გენერალურ პროკურორს, მის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს; საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტებს; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრებს და მათ მოადგილეებს; სახელმწიფო რწმუნებულს, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებს, მუნიციპალიტეტის მერს, მერის მოადგილეს;

ბ) საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მოსამართლეებს;

გ) სახელმწიფო კოლეგიურ ორგანოთა ხელმძღვანელებსა და წევრეს;

დ) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევრებს;

ე) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმდომარეს, მის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს; საქართველოს გენერალური პროკურატურის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს;

ვ) საქართველოს სახალხო დამცველს;

ზ) უმაღლესი სამხედრო წოდების მქონე საქართველოს შეიარაღებული ძალების თანამშრომლებს; სამართალდამცავი ორგანოს ხელმძღვანელებსა და სხვა ორგანოების თანამშრომლებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ უმაღლესი სპეციალური წოდება.

4. კონტაქტების დეკლარაციის ფორმას ადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) კონტაქტების დეკლარაციის წარმდეგინი პირის ვინაობას;

ბ) ოლიგარქთა და დაკავშირებულ პირთა რეესტრში შეყვანილი იმ პირის, ან მისი წარმომადგენლის ვინაობას რომელთანაც დეკლარაციის წარმდგენ პირს ჰქონდა კომუნიკაცია.

გ) შეხვედრის/კომუნიკაციის თარიღსა და ადგილს, კომუნიკაციის ფორმას, საკითხს რომელიც კომუნიკაციის ფარგლებში იქნა განხილული.

5. ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს დამრღვევი პირის მიმართ პოლიტიკურ ან/და დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

6. მონაცემები ქვეყნდება პროაქტიულად.

მუხლი 17. ოლიგარქთა რეესტრიდან ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილება

1. ოლიგარქთა და დაკავშირებულ პირთა რეესტრიდან ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ პირი ერთდროულად არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სულ მცირე 2 სავალდებულო კრიტერიუმს.

2. ოლიგარქთა რეესტრიდან ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია, რეესტრში შეყვანილი პირის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე.

მუხლი 18. გარდამავალი დებულებები

1. შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებამდე ამ კანონით განსაზღვრული საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს პარლამენტი. პარლამენტი გადაწყვეტილებას იღებს ორმაგი ⅔-ის პრინციპით (უმრავლესობის ⅔ და უმრავლესობის გარეთ დარჩენილი დეპუტატთა ხმათა ⅔).

2. შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყონ ამ კანონის შესასრულებლად საჭირო კანონქვემდებარე აქტების გამოცემა.

მუხლი 19 . დასკვნითი დებულებები

1.ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე-11, მე-12, მე-13 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებისა და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის მე-11, მე-12, მე-13 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს საქართველოს კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შემდეგ.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**